შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 23 ივნისის N8 ბრძანებით დანართი N2

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ 2020 წლის

სამოქმედო გეგმა, მიზნის მიღწევის ვადები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები

მარნეული

2019

პრეამბულა

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ (შემდგომში - კოლეჯი) თანამედროვე ქართული პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის სრულიად ახალი, დემოკრატიული იდეალების, ადამიანური უფლებების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მხარდამჭერი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით და ფართო მსოფლმხედველობით, რაც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია.

კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული გეგმის (2019-2024 წ.წ.) შესასრულებლად კოლეჯმა ჩამოაყალიბა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წელს გასატარებელი ღონისძიებები.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნები
2019-2024 წლები

სტრატეგიული მიზანი N1
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განათლება-დასაქმების ურიერთობების ჩამოყალიბება

სტრატეგიული მიზანი N2
სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი N3
მართვის პროცესებისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი N4
ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ განვითარების სამოქმედო გეგმის მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა

მიზნები:	მოსალოდნელი შედეგი
სტრატეგიული მიზანი N1 **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განათლება-დასაქმების ურთიერთობების ჩამოყალიბება** 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება; 1.2. სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, განხორციელება; 1.3. პოტენციური დამსაქმებლის ინტერესის გათვალისწინება და მათი ჩართულობა სასერტიფიკატო პროგრამებისს განვითარებაში; 1.4. სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა); 1.5. დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების (მათ შორის საერთაშორისო) განვითარება და განხორციელება.	**მოსალოდნელი შედეგები:** ვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები და ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები; იზრდება მოთხოვნები მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე; თანამედროვე სასწავლო მეთოდები და სასწავლო გარემო, გაზრდილია ინტერესი კოლეჯისადმი. ხორციელდება დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები და იზრდება სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივები; ვითარდება პარტნიორებთან ურთიერთობები ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად.
სტრატეგიული მიზანი N2 **სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება** 2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება 2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება	**მოსალოდნელი შედეგები:** სტუდენტთა კმაყოფილება მხარდამჭერი და სტუდენტთა კონსულტაციების სამსახურებისადმი; იზრდება საზოგადოებისა და სტუდენტების ნდობა კოლეჯისადმი.
სტრატეგიული მიზანი N3 **მართვის პროცესებისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება** 3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა; 3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა; 3.3. კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება.	**მოსალოდნელი შედეგები:** დაწყებულია ინტეგრაცია საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში. იზრდება კოლეჯის ცნობადობა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით; პროფესიული განვითარებისათვის პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობენ ტრენინგებში; კოლეჯი განვითარებისათვის ნერგავს მართვის მაღალ სტანდარტებს.
სტრატეგიული მიზანი N4 **ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება** 4.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება; 4.2. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების	**მოსალოდნელი შედეგები:** მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით; ვითარდება სასწავლო პროცესი და სასწავლო გარემოს მაღალი სტანდარტი. ვითარდება კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები მხარდაჭერილი სასწავლო პროცესი.

განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.	

2020 წლის მიზნის მიღწევის ფინანსური რესურსი, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები

№	**შესასრულებელი სამუშაო**	**სავარაუდო ფინანსური რესურსი**	**პასუხისმგებელი პირები**	**ინდიკატორები**
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება;	4000 ლარი	**დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელები**	**შეხვედრების ამსახველი მასალა (ოქმები, ფოტოები და ა.შ.)** **შემუშავებული სასერტიფიკატო პროგრამები** **სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშები;** **გამოკითხვები**
2	სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, განხორციელება;		**სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი**	
3	პოტენციური დამსაქმებლის ინტერესის გათვალისწინება და მათი ჩართულობა სასერტიფიკატო პროგრამების განვითარებაში;		**სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი; დამსაქმებელთა კომიტეტი**	
4	სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა);		**სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელები; პროფესიული მასწავლებლები; საინფორმაცო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური.**	
5	დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების (მათ შორის საერთაშორისო) განვითარება და განხორციელება.		**დირექტორი; დამსაქმებელთა კომიტეტი**	

6	პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება	3500 ლარი	დირექტორი; პროგრამის ხელმძღვანელები; დამსაქმებელთა კომიტეტი	გამოკითხვები; ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა; სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშები;
7	პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება		დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; ბიბლიოთეკა	
8	.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;	2500 ლარი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	ტრენინგების ჩატარებისა და მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა გამოკითხვები სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშები;
9	.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა;		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	
10	კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება.		დირექტორი; დირექტორის მოადგილე	
11	საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება;	7000 ლარი	დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ფინანსური სამსახური; დამსაქმებელთა კომიტეტი	ფინანსური გადახდდის მტკიცებულებები სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშები;
12	პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.		დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ფინანსური სამსახური; დამსაქმებელთა კომიტეტი	